

შინაური საქმეები

№ 38

შანი მართი შაური

წლიური ფასი სამი მან.

წელიწადი მეოთხე.

სოფელ-კვირიული გავითი

კვირა, 20 ნოემბერი 1911 წელი

ყოველ-კვირულ გაზეთ

შინაური საქმეები

ხელს მოაწერა მა. ილია რედაქციასი, ქ. ქუთაისში (საბურთალოს რაიონში) გამომცემელის სომ. ბაგრატიონის შუამდგომლობით თქვენი ნომერი, ბბ. ხელის მოწერულებს ვთხოვ გაზეთის ფასი-მეტი ვლის ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: 3 მანეთი.
 ნახ. წლი: 2 მანეთი.
 მასიდან წლის ბოლომდე: 2 მანეთი და 10 შაური.
 დრეკა: ქუთაისი, შანაური საქმეების რედაქცია.

შინაურნი: 1) ქუთაისი 20 ნოემბერი; 2) სიტყვა თეკლათის დედათა მონასტრის წმ. ნინოს სახელობაზე ახალი ტაძრის კურთხევის დღეს—ეკის. ლეონიდისა; 3) მგზავრის შენიშვნები—ხომლელისა; 4) კვირიდამკვირამდე; 5) უსასყიდლო სამსახური—ხელისა; 6) რას გწერენ?—დამწერისი; 7) ღია წერილი „ფანოუს“ იგივე ბლადონის მღვ. იუსტინე ფანცხავას—მღ. იერეთეოს ნიკოლაძისა; 8) პასუხად ბ. მ. ბოჭორიშვილს—მღ. გელაქტიონ აბესაძისა.

ჭუთაისი 20 ნოემბერი.

ჭურთის სამღვდლოების მორტიკი კრება 16 ამ თვეს დაიწყო. ოდიშის სამღვდლოების კი 22-ისთვის იარის დანიშნული დ. ახალსენაკში. ამ თვეშივე მოხდება ქართლ-კახეთის სამღვდლოების კრება ქ. თბილისში, ვფიქრობთ შობამდის იმერეთის სამღვდლოების კრებაც უნდა მოხდეს. ამნაირათ მთელი ძველი ივერიის კელესიის სამღვდლოება, თუძცა ცალცალკე და სხვა-და-სხვა დროს და ადგილსუ, მაგრამ მაინც, შეიკრიბება და თათ-



ბირი ექნება სხვა-და-სხვა საჭირობო-
ტო საქმეზე. ჩვენდა საუბედროთ, თუ-
ცა ასეთი კრებები ეოველ წელიწადს ხდე-
ბა, მაგრამ ჩვენი ხალხის სარწმუნოება
ზნეობრივ განვითარებას არაფერს ვხმარე-
ბა. ერთ კრებაზედაც არ აღძრულა საკით-
ხი იმის შესახებ, თუ რა არის მიზეზი
ხალხში სარწმუნოებისა და ზნეობის და-
ცემისა და რათ შეიძლება ვშველოს საქ-
მეს? რატომ მოხდება რომ სამღვდელო-
ება, ეს მარტივი ქვეყანისა განქარდა, დაე-
ცა და თავის საკუთარი თავის მოვლა-
პატრონობის უნარიც დაჰკარგა? რაღაც
უბედურებაა, არც მწუქსთმთავრები აქცე-
ვენ ამ საგნებს ეურადღებას, თითქოს მათ
თი საქმე არ იყოს სამღვდელოებისა და
ერთი სარწმუნოება-ზნეობის მხრით ამაღ-
ლება!..

დარწმუნებული ვართ ეს კრებებიც
ისე ჩაივლიან, როგორც წინანდლები და
ერთ იოტის ოდენა ცვლილებასაც ვერ
შეიტანენ ქვეყნის სარწმუნოებრივ და ზნე-
ობრივ ცხოვრებაში. ამ მხრით უფრო დი-
დი დანაშაული ქართლ-კახეთის სამღვდე-
ლოებას ხვდება, ვინაიდან ეს სამღვდე-
ლოება უფრო ანათებს მატალ და საშუა-
ლო სასწავლებლებში კურს დამთავრებუ-
ლი მამებთ და სინოდალური კონტორაც,
ეს ცენტრი მთელი საქართველოს ეკლე-
სიის მართვა-გამგეობისა, მათ ხელშია.
განსაკუთრებით ქ. თბილისის სამღვდელო-
ობრივ ძალას უნდა წარმო-
ქოსვევაში, დიდ უნარს უნ-

და იზენდეს ქვეყნის სარწმუნოების აღდგე-
ნა-განმტკიცებაში, აქედან უნდა სდიოდეს
წუარო სარწმუნოების უკვდავებისა, ესენი
უნდა ხელმძღვანელობდნენ მთელ საქართვე-
ლოს ამერ და იმერ სამღვდელოებას, ესე-
ნი უნდა აღვიძებდნენ და ამხნევებდნენ სოფ-
ლელ თანამშენებს, ესენი უნდა მუშაობდნენ
სხვა-და-სხვა საკითხებზე და მზა-მზარეუ-
ლად აწვდიდნენ სხვა-და-სხვა ადგილებში
შეკრებილ სამღვდელოებას.

კვეტევიან, ჩვენ თავისუფალ მოქმე-
დებას მოკლებული ვართ, სულ-ერთია ჩვენ
პროტესტებს მართებლობა მსჯელობას
არ მისცემსო. არის ისეთი საკითხები,
რომელთა შესახებ დღეს მართლაც მოუ-
ხერხებელია მსჯელობა ვიქონიოთ საზო-
გადო კრებებზე, მაგ. ეკლესიის ავტოკე-
ფალობა და სხვა ამგვარი, რომელსაც შე-
იძლება ძირითადი მნიშვნელობა აქვს ხალ-
ხის სარწმუნოებრივ და ზნეობრივ ცხოვ-
რებაში, მაგრამ ისეთი საშუალებებიც არის,
რომლებიც დასახელება, არაუისთვის საწ-
ეენი და გასაღიზიანებელი არ დაჩება,
რომლებიც შესაძლებელია ვინმართ და
არაუისთვის საზარალო არ გამოდგეს.

თუ დღემდის არა, დღეის იქით მაინც
იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თბილისის
მოწინავე სამღვდელოება შეიკურის ერთ
მოქმედ წრეთ იმ მიზნით, რომ ვზა გა-
უკაფოს სოფლელ თანამშენებს ხალხის სარ-
წმუნოებრივ წინ წასაუვანათ და სამღვდე-
ლოების თვითგანსავითარებლათ. ასეთ კე-
თილ მიმართულებას, ჩვენ დარწმუნებული

ვართ ხელს შეუწობს ექსარსოსიც. რო-
მელიც, როგორც მწუქმსთმთავარი, ვალ-
დებულა იზრუნოს ქრისტიანობრივ სარ-
წმუნოების და ზნეობის აღსადგენათ და
განსამტკიცებლად, როგორც სამწესოთა,
ეგრეთვე მწუქმსთა შორის.

ამას უნდა მიბაძოს ქუთაისის და ფო-
თის სამღვდლოებამ, რომლებმაც მტკი-
ცე კავშირი უნდა დაიკავეთ თბილისის
სამღვდლოებასთან. ამნაირათ მოსალოდ-
ნელია შესდგეს მთელი დიდი რაზმი ქრი-
სტეს უნაში სამუშაოთ, რაც არ დაუყო-
ნებს კეთილი ნაყოფის გამოღებას.

ს ი ტ ყ ვ ა

თეკლათის დედათა მონასტრის წმ. ნი-
ნოს სახელობაზე ახალი ტაძრის კურთ-
ხევის დღეს.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და
სულისა წმიდისათა.

მოგილოცავთ, წრფელი გულით მოგი-
ლოცავთ, დედაო იღუმენია ნინო და ვიზი-
რებთ თქვენს საღმრთო მხიარულებას, ღვთივ
სულიერო დებო, რომ თქვენს კურთხეულ სა-
ვანეს შეეძინა ახალი ტაძარი ღვთისა, რომ
აღიმართა ამ თქვენს ლოცვა-მოღვაწეობის
ნათესაყუდელში წმ. საკურთხეველი, კიდევ აენ-
თო თქვენთვის მეორე ლამპარი სიწმინდისა,
კიდევ მოგმატათ ახალი საცხოვრებელი სახ-
ლი ცისა და ქვეყანის მეუფისა თქვენდა ცხო-
ნების შესაძენად, თქვენ შორის ღვთის კურთ-
ხევის მოსაფენად, თქვენი ზნეობრივი ცხოვრე-
ბის განსავითარებლად.

თქვენგან შეყვარებული მხსნელი სოფლი-
სა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე ამ ახალი
ტაძრის აღშენება-კურთხევით გითითებთ ყვე-
ლას იმ გზაზე, იმ საქციელზე, იმგვარ ცხოვ-
რება-მოღვაწეობაზე, რომელიც სათნოა მის-
თვის, რომელმაც უნდა მოგიბოვოთ თქვენ
ღვთის რჩეულთა თანა მკვიდრობა, რომელიც
მისცემს აზრს და ღირსებას თქვენს ზავმოსი-
ლობას, თქვენს მონაზვნობას, თქვენს სული-
ერ შრომა-მოღვაწეობას, თქვენს ყოფნას მო-
ნასტერში და დატოვებას სოფლისას, დატოვე-
ბას მშობელთა და ნათესავთა ოჯახებისას.

ახალ ტაძართან ერთი სახურავით შეერ-
თებული თქვენი წმინდა ოფლით, თქვენი და-
ულალავი მეცადინეობითა და უზომო მხნეობა-
გამსჯელობით აშენებული საქალებო სასწავ-
ლებელი დღეიდან დებულობს იმ მადლიანი
სასწავლებლის სახესა და ხასიათს, რომელში-
აც აღიზარდა დღეს ჩვენგან ნაკურთხი ტაძრის
მოსახელე, ჩვენი სულიერი დედა, ქართველთა
განმანათლებელი, მოციქულთა სწორი, წმ. ნი-
ნო. თუ იერუსალიმის ტაძრის ფრთეთა ქვეშ
შეფარებული სასწავლებლის გავლენამ მოცი-
ქულად გახადა წმ. ნინო, ცხადია, აქ, მის სა-
ხელობაზე აშენებული ტაძრის კალთის ქვეშ
მტრების ხუნდებივით შემოხიზნულ მეგრულ
ქალიშვილებისათვის არ დაიშურებს იგი არა-
ვითარ სულიერ სიკეთეს, თუ კი თქვენც თქვენ-
თან შემოხიზნული ბავშვების აზრდაში მიმ-
დევარნი იქნებით წმ. ნინოს აღმზრდელი ნაინ-
ფორას მაგალითისა.

ერთმა მსოფლიო ბრძენმა სთქვა: ბოვშის
სული რბილი ცვილია, რაც გინდა, იმას დას-
წერ მათე, რა ბეჭედსაც დაჰკრავ, ის დაემჩნე-
ვაო. ამ სიტყვებში სიპართლეთა გამოთქმული
და იცოდეთ, პატიოსანნო დედანო, რომ
თქვენზეა უმთავრესად დამოკიდებული ამ მცი-
რეთა სულის აწ-კარგიანობა; თქვენზეა უმთავ-
რესად დამოკიდებული ანგელოზებად დაუ-
ბრუნდებიან იგინი მონასტრიდან თავიანთ მშო-
ბლების კერას, თუ ბოროტ სულებად, ღვთის
კურთხევის მთესველნი იქნებიან თავიანთ მო-

მავალ ცხოვრებაში, თუ ღვთის წყევლისა, ბედნიერებას შეიტანენ სოფელში, თუ ვაებასა და ტირილსა. თუ თქვენი გონება ყოველთვის შეცული იქნება ზეციერ მამაზე მაღალი ფიქრებით და თქვენი ყნა მხოლოდ მისი ვედრებისა და მისი ქება დიდების შეტყუელი, ეს ბოვშეგებიც მთელ თავიანთ არსებას, თავიანთ გულსა და სულს სავსებით დაუთმობენ და ტახტად დაუდგამენ ყოვლის შემოქმედ ღმერთს; თუ თქვენი ცხოვრება იქნება გამოხატვა ქრისტეს მცნებებისა, ამათაც უსაუზოდ მოედებით ქრისტიანული ცხოვრების სიყვარულის ჩაუქრობელი აღი და თავიანთი ნათელი მოქალაქობით შეიქნებიან ზეციერი მამის მადიდებელი, თუ საკუთარი მაგალითებით დაანახვებთ, აგრძნობინებთ და გამოაცდევინებთ ამ ნორჩ არსებებს, რა ბედნიერებაა ადამიანისათვის ქრისტეს სარწმუნოების მოწაფეობა, სახარების ცოდნა და მისი ხშირი კითხვა, მართლმადიდებელი ეკლესიის თავდადებული შეიდობა, იცოდეთ, ამათი ჩვილი და მგრძნობიარე არსებაც სამუდამოდ დაიბეჭდება წმ. ეკლესიის წაუშლელი ბეჭედით და იჯანი არას გზით არ შეურიგდებიან იმ გარემოებას, რომ მათ გარეშე მოიპარაშოს ურწმუნოებამ, არასოდეს არ მოითმენენ, რომ ხალხში არ გააერცელონ სახარების ცოდნა, ხალხმა უარჰყოს ეკლესია, შებღალლოს ქრისტიანული ზნეობა, დაივიწყოს ერთმანეთის შებრალება და სიყვარული. არა, თქვენი კეთილი გავლენა ბოვშეგებზე უსათუოდ შთაბერავს მათ ქრისტეს მოციქულობის იმ მაღალ სულს, რომლითაც ნიანფორამ აღანთო წმ. ნინოს ბუნება. მიეცით თქვენს სამშობლოს წმ. ნინოს საღმრთო საქმის გამაგრებლებელ-გამავრცობელნი, შესძინეთ ჩვენს ეკლესიას წმ. ნინოს მსგავსნი კეთილი მუშაკნი, აღუზარდეთ ჩვენს საზოგადოებას წმ. ნინოს უმწიკვლო ზნეობისა, წმ. ნინოს მაღალი სულისა, წმ. ნინოს საღმრთო ტრფიალებისა. წმ. ნინოს განათლებამიმართულების დედები და ეს ამაღლებს თქვენი მონაზნობის ღირსებას, ამითი დაუმტკიცებთ ქრისტეს ნამდვილ სიყვარულს და ერთგულებას, ამის ჩაგითვლით იგი ღვთის

სათნო მოღვაწეობად და ამისთანა მონაზნობისათვის კვახარებთ იგი საშინელი განსჯის დღეს საწადელი სიტყვების მომართვით: მოვედით კურთხეულნი მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი, დასაბამიდგან სოფლისათ (მათ. 25, 34).

ყველა თქვენგანს დიდრონი ასოებით ამოქდებული უნდა ჰქონდეს გულის ფიცარზე პავლე მოციქულის მეტად საგულსხმო სიტყვები: ვილოცვედ მე შეჩვენებულ ყოფად თავსა ჩემსა ქრისტესგან ძმათა ჩემთათვის და ნათესავთა ჩემთა ხორციელად (რომ. 9, 3), ე. ი. მე ვეხვეწები, მე ვუხვოვ და ვევედრები ქრისტეს, რომ განმაგდოს თავისგან, გამწიროს, დამკარგოს, წამწყმიდოს და ამომშალოს ცხოვრებულთა სიიდან ოლონდ ეს ყველა ამით გაბედნიერდენ, ღვთის კურთხევა მიიღონ და საუკუნო ნეტარების ღირსნი შეიქმნენ ჩემი ძმები, ჩემი ხორციელად ნათესავები ებრაელებიო. ჩვენც, დიდებული მოციქული პავლეს მოყვანილი სიტყვების მიხედვით, ყოველ წამს თავდადებულად უნდა ვზრუნავდეთ სოფელში დარჩომილი ჩვენი ძმებისა, ჩვენი ხორციელად ნათესაების ცხოვრებისათვის და მათი ურწმუნოება, მათი უსასოება, მათი ღვთისაგან განდგომილება და ეკლესიაზედ გულცივობა ცეცხლს უნდა გვიკიდებდეს, ეკლად უნდა გვესობოდეს ყველას გულსა და თირკმელში.

გაქირვებაში მოყვასთათვის თავდადება ზოგადი ვალია ქრისტიანეთათვის, ხოლო თქვენთვის, რომლებიც მსხვერპლად შესწირვიხართ ქრისტეს, ორკეცად სავალდებულოა არა დაზოგვა სიციოცხლისა მოყვასთა ბოროტისაგან და ხსნისათვის.

ჩვენი ური, ცნობილი ძველად სახელგანთქმულ ქრისტიან ერად, დღეს, გესლიან ყბაში ჩავარდნია ურწმუნოების საზიზღარ გველევას და ღამის არის მთლად მოშხამოს ის პატიოსანი სისხლი, რომელიც სდიოდა მოციქულთა სწორს მეფე მირიანს, ნეტარ დედოფალს ნანას, წმ. მოწამე შუშანიკას, დავით და კონსტანტინეს, წმ. მეფე დავით აღმაშენებელს და სხ., ღამის არის დაავიწყებინოს და ხელი

აღლებინოს ქართველობას იმ სახარებაზე, იმ სამოციქულოზე და სხვა საეკლესიო წიგნებზე, რომლებიც საოცრად მდიდარი, განვითარებული და საუცხოვო გაშლილ-გაფურჩქნელი ერთად მოაქვს თულებს ღვთის მადლით სავსე მამებმა: ექვთიმემ, ივანემ, გიორგი მთაწმინდელმა და სხვ.; ღამის არის შეაძლოს და დაავიწყებინოს ქართველ ერს ჩვენი ტურფა ენის ისეთი ფასდაუდებელი ქრისტიანობის ძეგლები, როგორც არიან მარტვილი, გელათი, სვეტი ცხოველი, სიონი, ალავერდი, წმ. ნინო და სხ.

კაცობრიობის განვლილმა ცხოვრებამ და ამტკიცა, რომ ურწმუნო და უღვთო ერი უსულო ღმერთს, რომელიც სულ მოკლე ხნის განმავლობაში ღვება. აი ასეთი საბედისწერო უფსკრულისაკენ მიაქანებს დღეს ჩვენს ერს მის გარეშემა გამეფებული ქადაგება ურწმუნობისა.

მართალია არც ძველათ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში სარწმუნოება მოსვენებული მტარვალთა დევნისაგან, მაგრამ ძველი მტრები და მტარვლები ქრისტიანობისა, უფრო აფრადებდნენ ქრისტიან ქართველებს, დასუსტებისა და დაუძღურების წილ. მეტს მხნეობას ჰბადებდნენ ხალხში და მთელ ერსა ამსაგებსდენ იმ საზღაპრო ცხოველს, რომელსაც, ერთი მოქრილი თავის ბაღლად ცხრა თავი ამისლიოდა, დღეს კი სრულებით სხვა გვარის სურათი გვეფინება თვალთა წინაშე: ურწმუნოება შეიქრა ჩვენს ოჯახში, მან დასუსნა, დასუნთქა და დაშხაშა ჩვენი შოზარდი თაობა, დღეს სარწმუნოება იღვინება და იღანძლება ჩვენივე შვილების და ძმებისაგან, ჩვენს ემბაზში მონათლულებისა და ჩვენი ბარძიმიდან ნაზიარები შირებისაგან, გარეული მტერი შინაურ მტრად შეიცვალა და ამის გამო შრძოლის დროს ერთი აღარ ერთდება, იბნევა და ნაწილდება, კი აღარ ფროლოდება, ჩლუნგდება და ილახება, კი აღარ მხნედება, ღუნდება და უძღურდება.

თქვენი მონახუნება, თქვენი განუწყვეტელი ღოცვა-მარხულობა, რა თქმა უნდა, თავის თავად ბრძოლა ურწმუნობასთან, ახლი-


ლი უკმაყოფილებაა, მიმართული წინააღმდეგ სარწმუნოებრივი გულგრილობისა და ზნეობრივი სიმჩატისა, თქვენი დროითი დროდ გამოსვლა სოფელში მოგონება სოფლებებისათვის, თუ არა მქერმეტყველური ქადაგება იმის შესახებ, რომ არსებობს ღმერთი, არსებობს სული, არსებობს საიქიო და ჩვენი ამ ქვეყნად სიცოცხლის უმთავრესი დანიშნულება ისაა, რომ წმ. ეკლესიის საშუალებით დაუახლოვდეთ ჩვენს გამჩენს ღმერთს. მაგრამ აღარ კმარაბს დღეს ამგვარი ქადაგება, ვეღარ ქონულობს მთელსა და სასურველ გავლენას სარწმუნოების მდევნელებზე მარტოოდენ მკრთალი მხილება და ამიტომ შემდეგი მოძღვრებით, ასეთი სწავლითა და დარჩებით მოგმართავთ ყველას თქვენი ამ დღიდან განუშორებელი მფარველი, თქვენი მცველი ანგელოზი, თქვენი საღმრთო მასწავლებელი და სულიერი დედა წმ. ნინო: ხელი შეუწყეთ თქვენთან შემოხიზნულ პატარა ქალიშვილების ზნეობა-სარწმუნოებრივ აღზრდას, გაუტისკროვნეთ მაგათ გული და გონება სახარების მოძღვრების იმ გვარი გრძნობით აღვსილი მოთხრობებით, როგორც მე მომიხრობდა ხოლმე ჩემს ბოგშეობაში ჩემი აღმზრდელი ნიანფორა, და მერმე ეგენი აზოვნიებენ ქართველ ხალხს დაკარგულ საუფლო კვართს, ეგენი შემუსრავენ არმაზ-ზადენისავით ურწმუნოების კერძსა და მსგავსად დაბრმავებული მირიან მეთისა, ეგენი აუხეღენ თვალებს ცხლანდელ გზადანეულ ქართველებსაო.

ქეშმარიტად, „სარწმუნო არს სიტყვა ესე და ყოველსა შეწყნარებისა ღირს“ (ატიმ. 4, 9) ნეტარება თქვენ, ღირსნო დედანო, რომ შემთხვევა გეძლევათ ასე სასიკადულოდ ემსახუროთ თქვენს განმანათლებელს წმ. ნინოს და საყვარელ სამშობლოს!

გთხოვთ, მხევალე უფლისა და წმ. ნინოს ბედნიერო მოწაფე, მალად ღირსო დედაო იღუმენია, იქონიო ახლად ნაკურთხ ტაძარში შენდა და შენი ნაკურთხი კრებულის სულიერ გასამხნეველებლად ეს სამღრთო გამოხატულება

დიდებული მოწამე ქეთევან დედოფლისა, ვი ნაიდგან მისი ცხოვრება იდეალური განხორციელებაა წმ, ნინოს ქადაგებისა. ღირსო დედო ნინო, მარადის სწყალობდე საცანესა ამას და მოეც აქა მცხოვრებთა დედათა და დათა მარადის ზრახვა მისი, რავდენი არს ქეშმარიტ, რავდენი პატიოსან, რავდენი მართალ, რავდენი წმიდა, რავდენი საყვარელ, რავდენი საქებელ, რავდენი სათნო და რავდენი ქებულ (ფილიპ. 4, 8). ამინ.

უბასკობისი ლეონიდი.



მგზავრის შენიშვნები.

1899 წელს, შემოდგომის გასულს, მე მომიხდა ფოთიდან ქ. ნოეოროსისკს წასვლა. ნოეოროსისკში მე უნდა დავრჩენილიყავი კავკასიაში მინისტრის რწმუნებულის იაკ. სერ. მდდევდევის მოწვევილობის ძალით რამდენიმე ხანი აგრონომის კაბლერის ადგილზე, რომელიც გაესტუმრებინათ პეტროვის სასოფლო-სამეურნო აკადემიაში სახელმწიფო ეგზამენის ჩისაბარებლად.

ფოთი*) ერთი უძველეს ქალაქთაგანია მთელს საქართველოში და დიდათ საყურადღებო ალგის წარმოადგენდა შავი ზღვის აღმოსავლეთის მხარეზე. თუ არა ვცდები, პირველად იგი უნდა იყვეს გაშენებული ელინთაგან და უძველესი სახელწოდება იმისი იყო ფაზისი, სახელით თვით იმ დიდი მდინარისა, რომელიც აქ ჩადიოდა შავს ზღვაში. ფოთს ადგილის მდებარეობა ისეთი აქვს, რომ იმისთვის, მიუცილებლად, დიდი ყურადღება უნდა მიექცათ იმ დროინდელ განათლებულ ზღვაოსნებს და აქედან უშიშრად შეეტანათ უძველეს კოლხიდასა და ივერიაში აზიის დასავლეთის და ეგვიპტის უძვირფასესი ნაწარმოებნი. აქედან კი დიდი საქარავნო გზა მიდიოდა პირდა-

პირ შორაპანზე, სურამზე, და მტკვრით გადადიოდნ ირანზე თვით დაშორებულ მდიდარ ინდოეთამდე. საზოგადოთ, ასეთი აზრია დღეს დამკვიდრებული ფოთის და მის გარშემო ქვეყნების შესახებ ლიტერატურაში. მაგრამ მე ეს დიდ შემცლარ აზრად მიმაჩნია.

მე მგონია, ბერძენებზე უფრო გაცილებით ადრე დიდად დაწინაურებულ მეზღვაოსნე ხალხის—ფინიკიელთა ყურადღება უნდა მიექცია შავი ზღვის აღმოსავლეთის მდიდარს, აყვავებულს ნაპირებს და აქ კი უპირატესობა მდინარე ფაზისის ზღვასთან შეერთების წერტილს უნდა სჭეროდა. ფინიკიელნი იყვენ პირველი პიონერნი, რომელთაც შავი ზღვის აღმოსავლეთს და ჩრდილოეთსაც მოფინეს მაშინდელი ხელოვნება, ვაჭრობა, მრეწველობა, მთელი ეგვიპტის კულტურა და მისი სხივებით გააშუქეს კოლხიდის და ივერიის არე-მარენი.

ვინ დასთვლის, რამდენმა წელიწადმა, რამდენმა საუკუნოებმა განვლო მას აქედ, რამდენს ღვთის რისხვას, ხალხთა აკლება-აწიოკებას და ელეტას, რა საშინელს ისტორიულს გრიგალს გარდაუვლია კოლხიდის და ივერიის შვილთა თავზე, მაგრამ ფოთი მაინც შავი ზღვის, მთელი აღმოსავლეთის მდიდარი ნაპირის კაოი იყო, საიდანაც ჩვენს წინაპართა წინაპრებს უხვათ ეფინებოდა უძველესი კულტურის და ცივილიზაციის გაუქრობელი სხივები და ქვეყანაც, დროის და გარემოების შესაფერად, კულტურულად ვითარდებოდა...

შავი ზღვის აღმოსავლეთს ნაპირზე ფოთს, ბათუმს შემდეგ, დღესაც, ახლაც უპირველესი ადგილი უჭირავს და ცდილობს უფრო დიდად და წინ წავიდეს, გასწიოს ყოველი ფრიად პირველობა დიდად ნიჭიერი და გამოცდილი მოთავის და ხელმძღვანელის წყალობით.

ფოთის ვაგზლიდან მიემართება დიდი, ფართო ქუჩა, რომელიც გაივლის მდინარე რიონზე გაკეთებულს უშველემელს ხიდს და მიადგება ქალაქის უკეთეს ადგილს—შუაგულს, სადაც გაშენებულია ქალაქის მდიდარი, დიდათ საყურადღებო ბაღი. ეს ფოთის უმთავრე-

*) ფოთი თსმალური სიტყვაა, თურმე ნიშნავს სახლის წითელ სახურავს.

სი არტერიაა. ბაღშია გაშენებული ქალაქის სამართველოს სახლი და სამსართულიანი მაღალი კოშკი, რომლის წვერში, დროის აღსანიშნავად, ყოველ საათში გააქვს რაკუნი ზარას. აქვეა დაგეგმილი ალაგი, სადაც უნდა აღშენდეს ქართული სტილის საკათედრო ტაძარი, რომლისთვისაც ხელმწიფის ნებადართვით მთელს რუსეთის იმპერიაში ფულები პროდუცია. ირგვლივ ამ ქალაქის ბაღს შევნიერი თითო, ორ-ორ სართულიანი სახლები, მდიდარი მალაზიები და ქუჩები არტყია. აქედან მიდის დიდი შარა გზა გურიაში მდინარე მალთაყვაზე*), მეორე დიდი ქუჩა მიდის პარკში, რომელიც პალიასტომის ტბის ნაპირზეა გაშენებული და პირველ მაისობას იქ დღესასწაულობენ. ამ ქალაქის ბაღიდან დიდი და პირველი ქუჩა, აგრეწოდებული, ხილკოვის პროსპექტი გაივლის კიდევ დიდძალზე, რომელიც ბ. ნ. ნიკოლაძის თაობის დროს გაკეთდა მდ. რიონზე, გადასტრის თითქმის შუაზე დიდ კუნძულს, გაივლის კიდევ ხიდზე, რომელიც რიონის ერთს დიდ ტოტზეა გაკეთებული და მიდის პირდაპირ ნავთ-სადგურზე.

ფოთის ნავთ-სადგური წარმოადგენს ერთს უშვენიერეს სანახაობას. ქვის მაღალი კედლით შემოზღუდული ვრცელს მანძილზე ზღვის უბე, რომლის ანკარა ზეირთებში კრთიან სამხრეთის ბრწყინვალე მზის სხივები, დასრიალობენ ნავები, იალქნიანი გემები და ნაპირადაც დგანან უზარ-მაზარი საქონლისა და ხალხის მატარებელი ორთქლმავალინი. კაცის თვალს იტაცებს შორი-ახლოს ნაპირზე მომდგარი ინგლისის უზარ-მაზარი გემები, რომელნიც ჩვენებურია შავი ქვით იტვირთებიან. აქედან გააქვთ ზღვით უცხოეთში ბამბა, სიმინდი, ღვინო, მატყლი, ნივთების კუნძები, ყოველნაირი ხეტყე, აბრეშუმი, საქონლის ტყავები, შალემა, ნაბდები და სხვა პრავალ-გვარი ნაწარმოებნი ჩვენი ქვეყნისა. აქ ფუსფუსობს და ირგვა ათასი მილეთის ხალხი აზიის და ევროპის კონტიტენტისა: ქართლელი, იმერელი, მეგრელი,

რაქველი, გურული, სვანი, აუხაზი, აქარელი ლაზი, ბერძენი, სომეხი, ოსმალელი, სპარსელი, ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, იტალიელი, რუსი და სხვა სლოვენის ტომის შვილი.

თანამედროვე აზერთებული ცხოვრების პირობებში აქ ერთად თავი მოუყარა ამ სხვა და სხვა ყოფაქცევის, ხასიათების, კულტურის და მოდემის ხალხს, რომელიც ყოველის საშუალებით იბრძვის გამწარებით და ძალიან მღვიპარებითაც. საქართველოს ყოველი კუთხიდან შემშის და გაქირვებას გამოქცეული ჩვენი მოძმე აქ პირველად ხედავს ზღვას და ხმელეთს, ათასი უცხო ხალხის მოდემის, აზიელის და ევროპელის შრომას და გამოცდილებას და იმათი წამხედულობით, მიზადვით ჩვენი ქვეყნის შვილიც ეჩვევა თან-და-თან იმ აზრს, რომ შრომისა, განათლებისა და მეცნიერების გარეშე არ არის ხსნა ამ ქვეყნად.

ბედნიერები, მდიდრები, ყოველისფრად და დაწინაურებულნი არიან ისინი, ვინც შრომობს, ვისაც გულით და სულით უყვარს შრომა და ფხიზლად, ცოცხლად ცხოვრება. ამ წუთი სოფლის სიამენი მხოლოდ და მარტო ნამდვილ შრომაში მოიპოვებიან და, აი, ამ დიდებულმა აზრმა დააწინაურა ისტორიაში დიდი ბრიტანია, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და იტალია. ჩვენი ხალხის კარჩაკეტილობას, დაყრუებას, რომელმაც სიკვდილის კარამდი მიიყვანა ქართველი კაცი ფიზიკურადაც, გონებითაც და ზნეობითაც, აქ, ამისთანა საეაქრო და სამრეწველო ცენტრებში უნდა მოედოს ბოლო საუკუნოთ და განიკურნოს ქართველობა მთლად საბოლოოთ. ეს კარგად ესმის ახლანდელს ფოთის ქალაქის თავს და მთელი თვისი დიდი ტალანტი და ენერჯია მზად არის შესწიროს ფოთის განახლების დიდს საქმეს, და აქ, შავი ზღვის აღმოსავლეთის კლასიკურს ნაპირზე, მდინარე რიონის შესართავთან სოფლიო პორტის შექმნით თვისი უსაყვარლესი მამულის—საქართველოს მდიდარი არე-მარყენი

*) მალთაყვა—რომაელების სიტყვაა multa aqua ნიშნავს ბევრს დიდ წყალს.

კვლავ გახადოს ისტორიაში კაცობრიობის განათლების გზათა და ხდათ...

ხომლედი.

შემდეგი იქნება.

კვირიდამ-კვირამდე.

იმერეთის ეპარქიის სამღვდლო კანდიდატთა გამომცდელ კომისიაში დაარსდა ნიხრო გამომცდელ კომისიის წევრთა სასარგებლოთ. სამღვდლო კანდიდატთა უნდა გადაიხადოს 10 მანეთი, საღიაკვანთ 7 მანეთი და სამედავი-ნომ 5 მანეთი. ასეთი გადასახადი, ცოტა უფრო მცირე, არსებობს ქართლ-კახეთის გამომცდელ კომისიაშიც. რომელიც ექსარხოვის მიერ დ მტკიცებული.

გაზეთებიდან ვტყობილობთ, მიტროპოლიტი ანტონი მოსასვენებლათ გადისო. მის მოადგილეთ ასახელებენ ფინლიანდიის არხი-ეპისკოპოსს სერგისო.

გურიის სამღვდლოების მორიგი კრება შესდგა 16 ნოემბერს, ოდიშის სამღვდლოების შესდგება 22-ს. იმერეთის სამღვდლოების კრებაც იქნება 13 ქრისტეშობისთვის.

იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბ. აფერკიევი უკვე ჩამობრძანდა და შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას.

სახალხო განათლების სამინისტრომ გან. მარტა, რომ იმ პირთ, რომელიც საეკლესიო ერთკლასიან სკოლის მასწავლებლის უფლება შეეძენიათ, შეუძლიათ ამავე მოწმობით სამი-

ნისტრო ე-თკლასიან სკოლის მასწავლებლობა მიიღონ, ხოლო ორკლასიან სამინისტრო სკოლაში მასწავლებლობისათვის უნდა აიღონ სრული ეკზამენი.

მინისტრთა საბჭოს მოუწონებია და სახელ. სათათბიროსათვის გადაუტია ახალი შუამდგომლობა სახალხო განათლების სამინისტროსი შესახებ იმასა, რომ ხაზინამ გაიღოს სახალხო განათლებისათვის ახალი კრედიტი 8,000000 მანეთისა.

სახელ. სათათბიროსთან არსებულმა სახალხო განათლების კომისიამ დაიწყო განხილვა კერძო სასწავლებელთა, კლასთა და კურსთა კანონ პროექტისა. უკვე მიღებულია პირველი მუხლი, რომლის ძალით ასეთ სასწავლებელთა გახსნის ნება ეძლევა ერთბეშს, ქლაქებს, წოდებრივ და კერძო საზოგადოებებს და ამხანაგობებს.

„შინაური საქმეების“ მკითხველთ ემახსოვრებათ, რომ ჩვენმა სამღვდლოებმა უმაღლეს მთავრობასთან აღძრა შუამდგომლობა სამღვდლო საეკლესიო და საკეთილ-მოწყისო კანდიდატების არჩენის გაუქმებაზე. ეს შუამდგომლობა უწ. სინოდმა საქართველოს ექსარხოის ინოკენტის გადასცა განსახილველად და თვისის აზრის წარსადგენად. როგორც გვაუწყებენ სატახტო გაზეთები, ექსარხოის სინოდისათვის უკვე წარუდგენია თვისი აზრი ამ ინსტიტუტის, ე. ი. არჩევნებითი წესის გაუქმების შესახებ. იქნება აწი მაინც ეშველოს რამე ბედკრულ ჩვენს სამღვდლოებს!...

მართლ-მადიდებელი მრევლის რეფორმის შესახებ პროექტი ს. მ. ლუკიანოვის დროს შეტანილ იქნა მინისტრთა საბჭოში, სადაც დაწვრილებით განიხილეს იგი. ვ. კ. საბლერმა, უწ. სინოდის ობერ-პროკურორთად დანიშნ-

ნის შემდეგ ეს პროექტი მინისტრთა საბჭოდან უკანვე წაიღო, რომ გაეცნო იგი ობერ-პრი-კურორმა, გაცნობის შემდეგ, საჭიროდ დაი-ნახა მისი გადაკეთება. ამ მიზნით ამ ზაფხულს უწ. სინოდმა ბ. კ. საბლერის და ვოლინელ მთავარ-ეპისკოპოსის ანტონის ხელმძღვანელო-ბით ლუკიანოვის პროექტი ძრიელ შესცვლა. ეს პროექტი იგლისში უნდა გატარებულიყო მინისტრთა საბჭოში, მაგრამ ჯერაც სინოდის კანცელარიაშია ვ. კ. საბლერს, როგორც ამ-ბობენ, თვისი შეხედულება ამ საგანზე შელუცე-ლია ამჟამად და როგორც ეს პროექტი, ისე სასულიერო სასწავლებლის შესახებ პროექტი, მისი აზრით, ცალ მხრივდაა შედგენილი და სახელმწიფო საბჭოში ვერ გატარდებიანო. ამის გამო ვ. კ. საბლერს სდომებია საჩქაროთ წინადადება მისცეს უწ. სინოდს ხელ-ახლა გა-დაათვალიეროს პროექტი მრევლის რეფორმა-ზე და სასულიერო სკოლის გადაკეთებაზე. ეს იმისთვის რომ სინოდში ამჟამად სხდომაზე დასასწრებლად მოწვეული ათი მღვდელ-მთა-ვარი კიშინევის ეპისკოპოსს სერაფიმს თურმე ამ მრევლს პროექტში ახალი არსებითი ცვლი-ლებები შეუტანია.

(რეზი).

იმერეთის საეპარქიო სამოსწავლებლო საბ-ჭოს შორაპნის მაზრის განყოფილებას საოლ-ქო საბჭომ 1896 წ. უმაღლესად დამტკიცე-ბულის დებულებისაგან მონიჭებული უფლე-ბანი დაუბრუნა. საეპარქიო საბჭომ, ნაცვლ დ საოლქო საბჭოს დადგენილების აღსრულებ-სა, ამ წლის ივნისის თვეში (დეკ. ე. კანდე-ლაკის თაემჯდომარეობის დროს) განყოფი-ლება დაკეტა. ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ ასეთი დადგენილება მა-სი საოლქო საბჭოს გადასცა განსახილველად, ხოლო ეს უკანასკნელი თანახმა არ გახდა ამ დადგენილებაზე. ვნახოთ საეპარქიო საბჭო რა თვალით შეხედავს ამ უკანასკნელ დადგენი-ლებას საოლქო საბჭოსას... ამის შესახებ

ცალკე მსჯელობა ექნება საეპარქიო სამო-სწავლებლო საბჭოს;

შორაპნის ოლქში ბლალოჩინის არჩევნე-ბის დროს ერთმა კანდიდატთაგანმა, მ. სუხია-შვილმა განუცხადა სამღვდლოებას თუ ბლა-ლოჩინად ამირჩევთ საბლალოჩინო კანცელარი-ას დ. ზესტაფონში ვიქონიებო. ეს კანდიდატი ბლალოჩინად აირჩიეს ზოგიერთებმა და კანცე-ლარია მართლა აქნამდის დ. ზესტაფონს ჰქონ-და (ბლ. დ. დ. ლამბაშიძე ზესტაფონს ცხოვ-რობდა) აქნამდისინ. ამ ნოემბერში კი განუცხა-და ბია იმავე ბლალოჩინს, კანცელარია იქ გა-დამაქ, სადაც მრევლი მყავსო და კიდევ გა-დაიტანა. ამრჩეველმა მღვდლებმა „თითზე იკ-ბინეს.“ ამბობენ, ამ ბლალოჩინს ნახევარი ოლ-ქის მართვა, წყალ-გალმა, თვისი თანაშემწე მღ-ბ. გველესიანისათვის ჩაუბარებიაო.

ხმები კავკასიის სამოსწავლებლო ოლქის მზრუნველი დ. ს. ს. რუდოლფი ავადმყოფო-ბითა გამო სამსახურს თავს ანებებსო.

მღვდელთაგან თანამდებობის ახლის დროს უფლების შემზღუდავი კანონ-პროექტი, მიი-დინარე წლის 10 ნოემბერს, უწ. სინოდისაგან მიღებული გადაეცა საუწყებათა შორისო სა-თათბიროს და მერმე გატარდება მინისტრთა საბჭოში.

(რეზი).

შორაპნის მაზრაში გაიხსნა მეორე წერი-ლი კრედიტის ამხანაგობა.

უსასყიდლო სამსახური.

არსად იმდენ მუქთა სამსახურს არ თხოვლობენ, როგორც სასულიერო უწყებაში და განსაკუთრებით სამღვდელთაში. ბლალაჩინობა მუქთა, სასულიერო გამომეძიებლობა მუქთა, მოძღვართ-მოძღვრობა მუქთა, დეპუტატობა მუქთა, ბლალაჩინის თანაშემწობა მუქთა, მაზრის სკოლების მეთვალყურეობა ითიქმის მუქთა, სკოლ-ს გამგეობა მუქთა, სამღვთო სჯულის მასწავლებლობა ნახევრათ მუქთი და სხვა ათასი მუქთი და უმადური სამსახური სულ მღვდელს ახვევია კისერზე. ჩინოვნიკი რომ სადმე გაგზავნონ, თუნდა ორ ვერსტზედაც, შესაფერ ფეხის ქირას და დღიურ სასმელ-საქმლის ფასს აძლევენ, მღვდელი რომ სამი დღის სავალზე წავიდეს, მადლობასაც არავენ ეტყვის, თუ საყვედურს არა. „უსასყიდლოთ მიგადებივს და უსასყიდლოთ მისცემდითო“, სწორეთ რომ ამ მცნებას სავსებით ამართლებენ მღვდლების კისერზე. მაგრამ გასაკვირვალე ეს არის, რომ ამდენ მუქთა სამსახურზე, რომელთაც არავეთარი, თითქმის შორეული დამოკიდებულებაც არ აქვთ დღდლის სამსახურთან, არავენ ხმას არ იღებენ, არავენ პროტესტს არ აცხადებენ და უფრო გაუგებარი აქ კიდევ ის არის, რომ ამ მუქთა სამსახურს არა თუ გაურბის მღვდელი, არამედ სულით და გულით ესწრაფება, უნდა, სურს. აქ ჩვენი აზრით პატივის მოყვარება უნდა იყოს მიზეზი. მართლა და სამღვდლოება, დღევანდელი შინც, სრულიად შეპყრობილია ამ სენით. ოღონდ პატივი და დიდება მოიპოვოს და დღევანდელი მღვდელი თავის ძალღონის დაუკითხავად ისეთ თანამდებობას წაებოტინება, რომლის შესრულებისათვის მას არც ცოდნა შესწევს და არც ენერჯია. მას საქმის კეთების სურვილი კი არ ამოძრავებს ამ შემთხვევაში, არამედ თვით თანამდებობა, სახელი და დიდება. სწორეთ ამის მიზეზია, როცა ახალ გაზდა, სიცოცხლით სავსე მღვდელი, მიაღწევს თუ არა საპატიო ადგილს, ჩამოპყრის ყურებს,

ჩაჯდება დედაბერივით კერაში და კარშიდაც არ გამოიხედავს, რომ შეიტყოს რახდება ქვეყნიერებაზე, თითსაც არ გაანძრევს, რომ რამე სინათლე შეიტანოს მოძმეთა შორის, ან წარუძღვეს მას სინათლისაკენ. სახელი ბლალაჩინი, გინა „პომოშნიკი“, ან გამომეძიებელი და სხ. სრულიად საკმარისია, რომ დააკმაყოფილო ამ ჯურის ადამიანების მთელი ადამიანური მოთხოვნილება. ასეთი პირების მართლაც რომ ჯამაგირა და სასყიდელი მეტია და აკი რომ არც თავს იწუხებენ ნამეტანი თხოვნით და პროტესტის გამოცხადებით!

თუმცა უსასყიდლო სამსახურით ყელთამდლი სავსე გახლავართ და კრინტსაც არ ვძრავთ ამაზე მართებლობის წინაშე, მაგიერათ თუ კი სადმე სასყიდლიანი სამსახური გამოჩნდა მზათა ვართ იმასაც წავეპოტინოთ, თუ გინდა ამ სამსახურში კიდევ ირიცხებოდნენ საკმაო, სათანადო სწავლიათა და გამოცდილებით აღჭურვილი პირნი. მაგალითზე შორს არ წავალთ და მიუთითებთ არსებულ სამღვდლო პირთა საეკზამენაციო კომისიაზე. ამ კომისიაში აგერ რამოდენიმე წლის განმავლობაში ირიცხება ოთხი პირი და დღემდის არავის სურვილი არ გამოუცხადებია ზედმეტ წევრად შესულიყო. დღეს კი, როცა ეს ადგილი შემოსავლიანი გახდა, ე. ი. როცა საეგზამენო პირებს გადასახადი დაადევს, ბრალიანმა და უბრალომ—ყველამ კომისიის წევრობა მოინდომა. ჩვენი აზრით არც ეს არის საკადრისი საქციელი, როგორც ის, რომ ადამიანმა პასუხს-გებელ საქმეს ხელი მოჰკიდო და ნაცარში ჩაჯდე.

ხედა.

რას გვწერენ?

13 ამა ნოემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ აკურთხა წმინდა ნანოს სახელზე ეკლესია თეკლათის დედათა მონასტერთან არსებულს ორკლასიან საეკლე-

სიო-სამრცელო სკოლისა. კუთხეებს დაესწრ-
 ნენ ადგილობრივი სამიასწავლო საეპარქიო
 ხაბჭოს წარმომადგენელი და მრავალი ხალხი.
 წირვის გათავების შემდეგ ყოვლადსამღვდელო
 ლეონ-დემ წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა და
 მონასტრის წინამძღვარს მიულოცა წმინდა
 მოწამე ქეთევან დედოფლის ძველთა ძველი
 ხატი. სადილზედაც წარმოითქვა რამოდენიმე
 სიტყვები, სადაც უსურვებდნენ მონასტრის
 წინამძღვარს ილუმენია ნინოს სკოლაში სარ-
 წმუნოების გაძლიერებას, რომ სარწმუნოების
 ნიადაგზე ხსენებულს სკოლაში აღზრდილნი
 ქალიშვილები იყვნენ ჩვენს ქვეყანაში გამავრ-
 ცელებელნი ქრისტეს სჯულისა და კეთილ-
 ზნობისა. საღამო ჟამს, ნასადილევს, მეტად
 ნასიამოვნები სტუმრები წვიდნენ მონასტრი-
 დან. მონასტერში დარჩნენ ყოვლად სამღვდე-
 ლო ლეონიდი კრებულთურთ, ეპარქიის მე-
 თვალყურე ბ. სინსკი და ზოგიერთნი მონას-
 ტერთან დაახლოვებულნი პირნი. საღამოს სკო-
 ლის დარბაზში გაიმართა სალიტერატურო სა-
 ღამო, რომლისაგან მეტად ნასიამოვნები დარჩ-
 ნენ ყველა დამსწრენი. ბავშვები მშვენივრად
 გალობდნენ და კითხულობდნენ ლექსებს რო-
 გორც ქართულად, აგრეთვე რუსულადაც. მო-
 ნასტერს ყველაფერში ეტყობა სიცოცხლე.
 ეტყობა, რომ ახალ წინამძღვარს იგუმენია ნი-
 ნოს მონასტრის ცხოვრება მოუყვანია სასურ-
 ველს მოძრაობაში. სამოსწავლო მთავრობას
 სურს ამ მონასტერში გადმოიტანოს ზუგდი-
 დის მეორე კლასიანი საქალებო სკოლა. მეო-
 რე კლასიანი სკოლისა მონასტერთან დაარ-
 სება მეტად სასურველია, მაგრამ ზუგდიდის
 სკოლის გადმოტანისა კი რა მოგახსენოთ. ეს
 იმას ემგვინება, რომ მშვიერს ლუკმა გამოგლი-
 ჯო ხელიდგან.

14 ნოემბერს ყოვლადსამღვდელო ლეო-
 ნიდი მწირველი ბრძანდებოდა სასწავლებლის
 ეკლესიაში. განიცადენის დროს სიტყვა წარ-
 მოსთქვა მღ. ი. ბობოხიძემ, რომელმაც გააც-
 ნო მსმენელებს წმ. ნინოს ცხოვრება და მო-
 უწოდა ბავშვებს ილოცონ მეფისათვის, რომე-
 ლიც არის მფარველი სარწმუნოებრივი განა-

თლებისა. წირვის შემდეგ გადახდილ იქნა სა-
 მადლობელი პარაკლისი.

დამსწრე.

ბერის დღიურიდგან.

არსებობის აზრი.

საქაო ცხოვრებას საამსიციოცხოლო თვალ-
 თა-ხედვით რომ შევხედოთ, ეს დედამიწა ადა-
 მიანთათვის ჯოჯოხეთებრივი დაუშრეტელი
 ცეცხლის გყნითა, შეუბრალებელი ტრაგე-
 დიაა, გოდების, დაღვრემილობის და ღრმა
 მგლოვარების მომგვრელია. შეუძლებელია თუ
 გულისხმიერად შეხედავ, გოდების თვლით არ
 გადახედო მთელ ქვეყნიერობას და მწარე სულ-
 თქმა კენესით არ აღმოიხრო ადამიანთა საამ-
 წუთო ვაებით აღზავებული ცხოვრება, სადაც
 საზოგადოდ ყოველნი და კერძოდ თითოეულ-
 ნი ვაების ხმით გოდებენ, მღულარე ცრემლის
 ტბასა შინა ლევენ განსაზღვრულ დღეებს და
 შეუბრალებლად, გამოუხსნელად თანაწარუვალ
 კბილთა ღრქენით ეშორებიან წუთი სოფელს.
 რომელი მხარე გნებავს აილო, განიცადო და
 არ დაგტანჯოს გამწარებით. გადაავლეთ გო-
 ნების თვალი მთელს ქვეყნიერებას, ჩაიხედეთ
 ადამიანურ გრძნობით ცხოვრების სარკეში, რა
 გულშემზარავ სურათებს დაინახეთ. აუტანელი
 მდგომარეობა სიღარიბისა და ტანჯვა-წვალე-
 ბისა გოდებისა და ვაების ცრემლთა ზღვად
 გუბდება.


თუ საამქვეყნო ცხოვრებით შემოსაზღვ-
 რეთ ადამიანთა სიცოცხლე გეკითხები, საყვა-
 რელო მკითხველო, რა ბედნიერებე უნდა ახა-
 ლთ კაცობრიობას? ნუ თუ ცხოვრების ასეთ
 უღმობელ გეენიაში სამგლოვიარო ჰანგზე აწ-
 ყობილ სიმების საცრემლო ხმა სიამოვნებით
 და სიხარულით ვიოცნოთ? განა ეს თავის მო-
 ტუყვება არ იქნება? განა ეს იმ მელას არ
 დაგვამზავებს, რომელიც მახეში გაება. და

სიზმრად გრძნობდა თავის თავს? თუ წილ ამ ხილულ ნივთიერ სოფლისა არ არსებობს უკვდავი სიკაცხლე, თუ არსთა ქმნულების ბრძნულ მიმდინარეობას მეტი აზრი არაფერი აქვს, თუ არა მხოლოდ ტანჯვა, სიკვდილი და განქარვება, მაშინ ქვეყნიერებას არსებობას აზრი არ ქონია, მისი არსებობის მიზანი უგუნურობა ყიფილა. განა ამას წთანხმება ადამიანის გონება? თუ აღსრულ ხარ მკითველო სადმე მთასა მალასა ზაფხულ და გადაგხედია მსოფლიო ბუნების სიმდიდრისკენ, რომლის ბრძნულ წყობილების შეზავ-გებულება აზრ უწვდენელობით თვალწინ გგშლება, უსათუოდ მოსულ ხარ აღტაცებაში და ესრეთ ბრძნულ შეწინებების მკერდ-მიყრდნობასა და მისდამი აღტაცებითი ტრფილების დროს იღუმალ ჩაგძახებდა ხმა ჰოეტური ფსალმუნთ მგალობლისა: „აკურთხევეს სული ჩემი უფალსა, უფალო ღმერთო ჩემო, განსდიდენ ფრიად, აღსარება და დიდად შეწინებება შთაიცუ. შეიმოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი, გარდაათხენ ცანი, ვითარცა კარავნი. რომელმან დართა წყალთა ზესკნელნი მისნი, რომელმან დასხნა დრუბელნი აღსავალად თვისსა... რომელმან დაფუძნა ქვეყანა სიბტკიცესა ზედა თვისსა, არა შეიძრას იგი უკუნითი უკუნისამდე. უფსკრული, ვითარცა სამოსელი გარემოდებულ არს მისსა, მათთა ზედა დასდგენ წყალნი, შერისხვითა შენიჭა ივტადიანი და ხმითა ქუხილისა შენისათა შეძრწუნდიან, აღვლენან მთანი და შთავლენან ველნი ადგილსა მას, რომელსაცა დაფუძნენ ივინი, საზღვარი დასდევ, რომელსა არა გარდახდენ, არცა-ღა მიიქციონ დაფარვად ქვეყანისა. რომელმან გამოადინა წყარონი ხევებსა შინა, შორის მათთა სდიოდიან წყალნი. სვან იგი ყოველთა მხეტთა ველისათა, განძღენ კანჯარნი წყურვილსა მათსა. მათ ზედა ფრანველთა ცისათა დაჩქვიდრონ, შორის კლდეთა მოსცენ ხმა მათი დაბრობს მათთა ზესკნელთა მისთაგან, ნაყოფითა საქმეთა შენთათა განძღენ ქვეყანა... შექმნა მთოვარე უმთათვის, მზემან სცნა ვიმი დასლიცა თვისისა... ვითარ განსდიდენ საქმენი შენნი

უფალო და ყოველივე სიბრძნით ჰქმენ. ვისი გონება იქნება თანახმა, რომ ესრეთ ბრძნულათ წყობილი ქვეყანა იყოს მხოლოდ საპყრობილევ, ადამიანთა სატანჯავი? მე ცადაქვეყნის არსთა ფორმას ვხედავ აზროვნობის ხილულ საყდრად და გონების ზესაფრენ ეტლად. ეს გონების ზესაფრენი ეტლი, ქვეყნიერობის არსებობის აზრის მიმცემი, კაცობრიობის ცხოვრებას მათროფანგმელი არის რწმენა, რომ გარეშე ხილულ ნივთიერ სოფლისა არსებობს სიკაცხლე, მარდისობის მოტრფილევ, რომლის ბუნება სამარადისოდ უკვდავ მყოფობის აღმრჩეველია. უკვდავი სიკაცხლე—ეს არსებითი მოთხოვნილება ადამიანის ბუნებისა. იგი შუქსა ფენს მომაკვდავ ხორცის საყდარშიაც ადამიანს, მასში აქვს ძირი მის მისწრაფებას სანატრელ ნეტარებით საფხე სუფუფისკენ. მას ესასობება, მას ეთაყვანება და ეს არის მისი სულის დაუსრულებელ წინსვლის იდეა. ადამიანის არსების ძირითადი თვისება მარადისობა-უკვდავებაა. ამ თვისების გამოძახილია მისი მარად წინ-სვლისკენ ლტოლვა. კინ-მე ადამიანი მიწვენილა იმ გულ-საფხების საზომზე, რომ კიდევ არ ნდომოდეს უმჯობესობა და წინ ხედვა უფრო უკეთესობისა გაიქმებულ იყოს მის შორის და ერთ წერტილზე შედნიერების განსხვვენებელში სუფუფით დამყარებულ იყოს? ყველა დამეთანხმება, რომ არ იქნება ისეთი კაცი ქვეყანაზე, არც მეფეებით, არც სიმდიდრით, რომილსაც კიდევ რაღაც უმჯობესისკენ, წინსვლისკენ ხედვა არ ქონდეს. ადამიანმა რავდენიც უნდა დიდებს ხარისხთა კიბეები აღვიდეს, რაც უნდა საქვეყნო პატივ-დიდება შეიძინოს, მაინც კიდევ აქვს სურვილი წარმატებისკენ. ხედავს რომ რაღაც აკლია მას და სრული კმაყოფილების დროსა ჯერ კიდევ ვუ აღუშროთას, ეძებს და მიიღტვის საღაც უმადლესისკენ. ეს აღუფხებელი ნდობის უფსკრული, დაუმრეტელი წყურვილი წარმატებულებისა და მიღტლვას განდიდებასადმი არ გკუთვნის მარტო ხორციელ ანგარების ანგარიშს, არამედ ეს ბრწყინვალე

ნაპერწყალია დაუსრულებელ ღვთის ხატება აღამიანის უკვდავად სისრულისადმი მისწრაფებისა.

ალექსი ბერი.



ღია წერილი «ფანიუსა»-ს იგივე ბლაღოჩინს ძღველს იუსტინე ფანცხავას*).

ღიახ, მოწყინდა მკითხველსაც, რაღა საჭიროა ამის კითხვა?! მოწყინდა, მაგრამ ვინ არის მიზეზი ამისა, მამაო იუსტინე?! რასაც ვფიქრობდი ამისრულდა: სწორებით თქვენ მყავდით სახეში და მეც იმიტომ ვაპიანურებდი, რათ დაგვსაჯე, მამაო ან მე, თქვენი მოპირდაპირე და ან მკითხველი საზოგადოება?! თქვენ კარგათ იცით, რომ ჯერ ნიღაბის ახთა არის საჭირო და მერმედ სამართალში გამოსვლა! რაც შეეხება ჩემს გათეთრების ისტორიას, რა უყოთ, ალბათ მიცნობდა საზოგადოება და კიდევაც დამასახელეს. თქვენც შეიძლება ბევრი შრომა გასწიეთ, ვინ არ იცის ეს, ან ვინ დაგემდურებათ ამისთვის, რადგან ყველა თავისთვის ცთილობს. რაც შეეხება მას, რომ თქვენ ჩემთან გამოლაშქრებით გინდათ შეიტყოთ თქვენი ნაკლულევენება, ეს ზედმეტია; მე თამამად მიგითითებთ უიმისოდაც თქვენ ნაკლულევენებაზედ, რომელსაც ეწოდება **სინარხში**. მე რომ მარიგებთ, ის არ კმარა, არამედ საჭიროა თქვენც გადმოაბრუნოთ ჯვარი და წაიკითხოთ რაც ფარულად სწერია: „არა გული გითქმიდეს წარმატებისათვის ძმისა შენისა“, მეტს აღარ ვაგრძელებ თქვენთან ღვაკს და ენიშნავ ჩემის მხრით მედიატორებათ მასწავლებელს ვლადიმერ ნაცვლიშვილს და მღვდელს ლონგინოზ კიკვიძეს. განაჩენი გამოცხადდეს ქართულ გაზეთებში და გამტყუნებულ მხარეს ვარდახდეს ჯარიმათ ხუთი თუმანი სასულიერო სასწავლებლის რომელიმე ღარიბ მოსწავლის სასარგებლოთ.

ძღველად იუროთუოზ ნაკლავაძე.

*) ვბეჭდავთ ამ მარგალიტ წერილს სრულიად უცვლელად.

პასუხად ბ. მ. ბოჭორიშვილს*)

ვინც „კოლხიდის“ № 140-ში თქვენ წერილს წაიკითხა, მაშინვე მიხვდებოდა თუ რა ზრდილობის და ზნეობის მექონი უნდა ბრძანდებოდეთ. ქართული არაკი: „ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირი დაამტკრიესო“, სწორეთ თქვენზე ითქმის დიდებულთა პედაგოგო. ჩემი აზრით, ის უსაფუძვლო ცილისწამება ჩემზე, რომელიც თქვენ გაზეთის ფურცლებზე მოგითავსებიათ, უნდა სიზმრიდან გამოგეტანათ ან და გალიუცინაციის გაგლენის ქვეშ ყოფილიყოთ, თორემ ცხადში და მერე საღ კეუაზე მყოფი აღამიანი იმას არ იკადრებდა და არც დასწერდა, რასაც მე თქვენ უსაბუთო ბრალსა მდებთ; ალბათ გსურთ, რომ თქვენი უსაფუძვლო ცილისწამებით მთავრობისა და საზოგადოების წინაშე გამოაშვოთ და მით ნდობა დამიკარგოთ, მაგრამ ძლიერ ცდებით, ბ. მიხეილ! ხომ გაგიგონიათ „ტყვილს მოკლე ფეხები აბიაო“ და კიდევაც შენ ტყვილს და ცილისწამებას 4 ოკტომბერს აღარც მოკლე ფეხები აღმოაჩნდა. ბრძანებთ: „ამ ბოლო დროს გამოჩნდა ღვდელი გალაქტიონ აბესაძე, რომელიც ცთილობს განადგუროს წიგნთ-საცავ-სამკითხველო და სამრევლო „შკოლებიო“, მტკნარი სიცრუეა. თუ რამდენათ ვცდილობ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს განადგურებას ამის შესახებ მე არას ვიტყვი, თვითონ მისი გამგე მიაწოდებს პატივცემულ მკითხველს უტყუარ საბუთს გაზეთის საშუალებით, ხოლო რაც შეეხება ჩემგან ვითომ სამრევლო შკოლების განადგურებას, სამინისტრო შკოლის დაარსებას და იმაში ჩემს გაბატონებას, ამის შესახებ 4 ოკტომბერს გამოძიება იყო და ყოლიფერი ამ მოკლე ხანში გაზეთის საშუალებით ელუწყება პატივცემულს საზოგადოებას. სწერთ აგრეთვე: „წასული წლის 7 ნოემბრიდან ეპარქიალური საბჭოს დადგენილებით მე დამნიშნეს იმ შკოლის მასწავლებლათ, მაგრამ მართველმა უარი მითხრა და შკოლა არ ჩამაბარაო“ სრული ქეშმარიტება გახლავსთ, მაგრამ ის შენობა, რომელშიდაც თქვენ გსურდათ დაბუღება, ეკუთვნის

*) ეს საპასუხო წერილი დამიგვიანდა ავთომყოფობის მიზეზით, ღ. მ. ა.

ნოდა თქვენ წინამოადგილეს განსვენებულს ტერენტი ბოკორიშვილს, რომელმაც თავის სააკუთარი ფულით ააშენა და მე არ მქონდა არავითარი უფლება არც ზნეობრივი და არც იურიდიული, რომ მისთვის მისი ნაოფლარი შენობა წამერთმია და ნაცვლათ შიგ თქვენ გამებატონებიეთ; ამაზე ნურას უკაცრავათ!

ის აზრი, ვითომ მე მამა შენისთვის ასი მანეთი მეთხოვოს ქრთამით და მაგივრათ საქმის გაკეთებას შევბირებოდე, აშკარა სიცუეა; მართალია მამა შენს წერილით 30—40 მანეთს შევეცხსულე, მაგრამ მას ჩემთვის ერთი კაპიკიც არ მოუცია და ისიც იღბალი, თორემ მაშინ სულ გამოაყრუებდით ქვეყანას, — რომ მმართველმა ქრთამი გამომართვაო. თუ სესხით აღებულ ფულს (თუმცა არც ეს მომხთარა) ქრთამისაგან ვერ არჩევთ 40—50 ბავშის აღმზრდელათ რაღა გამოსადეგი ბძანდებით! თქვენი ულოლიკობა იმაშიდაც გამოსჭვივის, რომ, თუ მართლა სინდისი გავტებე და ქრთამი გთხოვე, განა ისე გადავცდებოდი რომ სხვა პირების თანადასწრებით გთხოვდი და გამოგართმევდი! რასაც სწერთ თვითონ არ გაგეგებათ.

რაც შეეხება იმას, „რომ მმართველი ჯამაგირის მოწმობას არ მაძლევდა და მაწვალეებს დაო“, ამის შესახებ მოგახსენებთ: რამდენი უსაქმოთ დარჩენილი კაცი ქუთაისის გზატკეცილებზე დასეირნობს მათ ჩვენ მოწმობას არ ვაძლევთ; მოწმობას ვაძლევთ იმათ, ვინც ნ.მ. დვიდ შკოლისაში მსახურობს მასწავლებლად და დღიდან სამსახურში ჩადგომისა (პირველი მარტიდან) კიდევაც ვაძლევდა მოწმობას.

ბრძანებთ აგრეთვე: „1 სექტემბერს გამოვეცხადე მ. გ. აბესაძეს და ვთხოვე საქარაო სახლის შიგნაში დამხმარებოდა, მაგრამ ყურადღებას მოგაქცევდი კი არა, რომ უფლება მქონოდა, დაგსჯიდით კიდევ, ჯერ ერთი მისთვის რომ 1 სექტემბრიდან სწავლის დაწყება უნდა და არა შკოლის შენობის ძებნა. თუ შკოლისთვის სახლის ქირობა გსურდათ სად ბრძანდებოდით საში თვის განმავლობაში, ტყვილა რომ ატარებდით დროს სეირნობაში ტყიბულსა და ქუთაის შუა? გარდა ამისა, იმ დღეს ძმას სამარეში ვასვენებდი და თვალზე ცრემლი შემწრალი არ მქონდა, რის გამო თქვენი

თხოვნა იმ დროს მეტის-მეტი უადგილო იყო და პასუხის მოცემისთვისაც — არ მეცალა.

„კვირას 4 სექტემბერს საყდარზე წირვის შემდეგ ხალხისთვის მიწოდდა გამომცხადებია, ბავშები მოეყვანათ და შენობა მოეჭირავებიათ შკოლისათვის, ეს განზრახვა რომ გაიგო მ. გ. აბესაძემ აღარ სწირა ამ დღესო“, სწორებს სასაცილოა თქვენი ბოღვა ბ. მიხეილ! იმ დღეს მე არც თქვენი მოსვლა გამიგია და არც თქვენი განზრახვა ვიცოდი და თუ არ ვწირე იმ დღეს, ეს იმ საპატიო მიზეზისა გამო, რომ 4 სექტემბრიდან, ვიდრე 3 ოქტომბრამდე მძიმე მწოლიარე ავთმყოფი ვიყავი და გარდა იმ ერთი დღისა, სანამ ავთ ვიყავი, წირვას, ლოცვას და ყოველივე ღვდელმოქმედებას ჩემს მაგივრად ასრულებდა მამა ჩემი.

სასურველია, ვისიც ჯერ არს მეტყურადღებას აქცევდეს ზოგიერთ სოფლის მასწავლებლების ზნეობრივ მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავს უსინდისო და აშკარა ცილისწამებას ხშირათ ექნება ადგილი გაზეთის ფურცლებზე.

ღვდელი გალაქტიონ აბესაძე.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამილიძე. გამომცემელი, იოსებ ლეჟავა.

მიიღება ხელის მოწმე, 1912 წლისთვის

„შინაური საქმიანობა“

გაზეთის ფასი:

წლიურათ	— 4 მანეთი მშველსან.
ნახევარი წლით	2 მანეთი.
სამი თვით	— 1 მანეთი.
ერთი თვით	— 2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი მანეთი.

ფულის შემოტანა წლიურ ხელის მომწერთთვის შეიძლება ასე განაწილდეს: თაფიდან 2 მანეთი და 1 იანისს 2 მანი. მანქანების ფასი წინა გვერდზე პეტრიტის სტრიქონი ორი მანეთი, უკანასკნელზე 7 კაპ.

რედაქტორი მღვდ. ს. მკელდითი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

სტამბა „შრომა“

— დაბა შვირილაში —

შვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ
დებულაბს უოველგვარ სასტამბო საქმ.
გბეჭდავთ: ბლანკებს, აფიშებს, განცხადებებს,
წიგნებს, ბროშურებს და უოველგვარ მისა-
წვევ წერადებს: ქორწინებისას, ნათელისას,
სამკლავიარისას და სხვ. აგრეთვე კონტა-

რებისათვის საანგარიშო წიგნებს და წიგნ-
კებს, კვიტანციებს, იარღიკებს, სადარბაზო
ბანათებს (ფიზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწავლე-
ბლ სათვის კლასის ჟურნალები და ბილეთები.

საქმეებს გასრულებთ სუფთად და თავის
დროზე ძლიერ დაკლებულ ფასებშია.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდენ თვით
პატივცემულნი ზაკაზნიკები.

ადრესი: ყვირილა სტამბა „შრომა“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Квирылы

სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

დებულაბს უოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევრს. ასრულებს
დროზე, სუფთათ, სანიბელათ და სინდისიერათ.

ფასება ნახატების ღირსებაზე და ზომაზეა დამოკიდებული და უოველ შემთხვევაში
საშუალოა.

სამხატვროს არაეისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყვე-
ლას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატ-
ვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ
საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევრს პირობით ვღებულაბთ, თუ მოწო-
ნებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვა-
სრულებთ იმავე მთავრობის შენიშენისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის უოვლად
სამღვდელო ლეონიდას ნდობით და გვაქვს მათი მუუფებისაგან შესა-
ფერი მოწმობა.

ადრისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია, კახაკოვის ქუჩა № 17.

ბ ა ნ ც ხ ა ღ მ ბ ა .

თბილისის და ქუთაისის წიგნის მაღაზიებში და მოწამეთის მონასტერში იუილება არსიხანდრიტის ნესტორის მიერ შედგენილ - გამაცემული წიგნები სასულიერო მინაარსისა:

- 1) კაიფას ვაჟი შვილი — 50 კ.
- 2) მესამე ოქრო — — — 5 კ.
- 3) გზა ცხოვრებისა — — — 30 კ.
- 4) ძველ აღთქმის საღვთო ისტორია 50 კ.
- 5) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია 40 კ.
- 6) სიკვდილი მართლისა — — — 10 კ.
- 7) ერთი ღამე აკალდამაში — — — 5 კ.
- 8) არა კაც კლა — — — — 5 კ.
- 9) კარგი ყველგან კარგია — 10 კ.
- 10) ქრისტიანობა და დემოკრატია, ქრისტიანობა და სოციალიზმი 15 კ.
- 11) ცოლ-ქმრობა (საღვთო წერილიდან — — — — 5 კ.
- 12) მამა დავით გარეჯელის ცხოვრება და მოღვაწეობა — — — 10 კ.

სამკითხველოებს და სასოფლო მკოლეებს, როგორც სამრევლოს ისე საეროს, ნაღდ ფულზე ვინც გამოიწერს, ეველა წიგნებს დაუთმობ ნახევარ ფასად. ხოლო წიგნის მაღაზიებს, რომელიც ნაღდ ფულზე გამოიწერს, დაუთმობ 30%, ადრესი: **Черезъ Кутаисъ въ Мцхетѣ. Архимандриту Нестору.** ვინც ისურვებს ჩემგან ჰირდაჰირ გამოწერას, ვსთხოვ ადრესი გარკვევით მომწეროს.

„შინაური საქმიანობა“-ს რედაქციაში იუილება:

კლირთვის უწვებები ახალი ფორმისა და ეველა უწვებება (**ВЪДОМОСТИ**) წლიური საბლადოხინო ანგარიშებისათვის, ბლანკები „ქმობის“ გამოცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა — რწვილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს — 4 კაპ. ბეედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: **Кутаисъ, Правленіе религиозно Просвѣтительнаго „братства“.**

Ольденбургская д. № 5.